ა(ა)ი.პ.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

CHOKHATAURI MUNICIPALITY PUBLIC HEALTH CENTER

№224

14.09. 2023 წ

დუმბაძის ქ.№ 20

ტ. 595 15 24 14 551 09 30 80

Natalia.jibuti@gmail.com

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ დავით შარაშიძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია - კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ზვიად მამალაძეს

განსახილველად წარმოგიდგენთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2023 წლის ანგარიშს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ

მუნიციპალიტეტის ზოგადი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა გარემისდაცვითი სტრატეგიის ნაწილია, რომელიც გასაზღვრავს მუნიციპალიტეტის გრძელვადიან განვითარებას, მდგრადი განვითარების ხედვას, პრიორიტეტულ სტრატეგიულ მიზნებს, მიმართულებებს და იმ აუცილებელ ამოცანებს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებისათვის უსაფრთხო და ჯანსაღ საცხოვრებელ გარემოს

შექმნას, უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას და ადამიანების ცნობიერების ამაღლებას.

ბუნებრივ გარემოზე მინიმალური ზეგავლენით და ბუნებრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებას, რაშიც იგულისხმება ეკოლოგიურად სუფთა მუნიციპალიტეტად გადაქცევა, მიმზიდველი და ჯანსაღი გარემოს შექმნა, დაბაში და სოფლებში უკეთესი ცხოვრების, დასვენების და სამუშაო პირობების ჩამოყალიბება.

სტრატეგიაში დასახულია მიზანი, მოცემულია არსებული მდგომარეობის ანალიზი და პრობლემები და ჩამოყალიბებულია სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა წყლის რესურსები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, ბიოლოგიური მრავალფეროვნება, მყარი ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა, სტიქიური მოვლენები, გარემოსდაცვითი მმართველობა, განათლება მდგრადი განვითარებისთვის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გარემოსდაცვითი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია: ატმოსფერული ჰაერი, წყალი, ზედაპირული მტკნარი წყლები, მდინარეები, ტბები, მიწისქვეშა წყლები, წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები, მყარი ნარჩენების მართვა, ბიომრავალფეროვნება, მწვანე ნარგავები, მცენარეთა დაცვა, კლიმატის ცვლილებები, ენერგოეფექტურობა, სტიქიური მოვლენები, ბუნებრივი კატასტროფები, გარემოს ინტეგრირებული მართვა - მათთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები, მიზნები, ამოცანები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და სანიტარული წესრიგის დაცვა , საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მენეჯმენტის ორგანიზება, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. საკითხი აქტუალურია იმდენად, რადგანაც საქმე ეხება ადამიანის ჯანმრთელობას, ჩვენი მომავალი თაობის ჯანსაღ გარემოში ყოფა-ცხოვრებას, მათი ჩვევების გამომუშავებას ამ მხრივ, ამასთანავე უნდა შეიქმნას ესთეტიკურად მიმზიდველი გარემო ,როგორც ჩვენი მოსახლეობისათვის ასევე შემოსული სტუმრებისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარდა შემოვლა დაბის და მიმდებარე სოფლების ტერიტორიაზე, გამოვავლინეთ შემდეგი გარემოებები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ შემოვლის მომენტში გაცლილი იყო ყველა ბუნკერი, არ იყო გადავსებული და არ იყო დაბინძურებული, ურნების

მიმდებარე ტერიტორიები, გარდა ქსელური მაღაზიების წინ მდებარე ურნებისა, სადაც სანაგვე ურნები თითქმის მუდმივად გადავსებულია მაღაზიის ნარჩენებით, ყუთებით და სხვა საყოფაცხოვრებო ნაგვით. სანაგვე ურნები რომლებიც საყოფაცხოვრებო ნაგვისთვისაა განკუთვნილი გაცლის შემდეგ ექვემდებარება რეცხვა-დეინფექციას.

საკმარისია ურნების რაოდენობა დაბის ტეროტორიაზე, ასევე ყველა სოფლიდან ხდება ნარჩენების გატანა, მაგრამ, სოფლის ცენტრიდან მოშორებულ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს აღნიშნული კომუნალური მომსახურეობა, რაც ქმნის ის იმის პირობებს, რომ ნაგავი მოსახლეობის მიერ არ გადაიყაროს მდინარეში, მდინარის ნეპირებში, ხევებში, რაც ქმნის ინფექციური და პარაზიტული დაავადებების გავრცელების ყველა პირობა.

ჩვენი შემოვლის მომენტში დაბის და ახლომახლო სოფლებში მდებარე ურნები იყო დაცლილი, არ იყო გადავსებული, გარდა ქსელური მაღაზიების წინ მდებარე ურნებისა, რასაც ხშირად აქვს ადგილი, იყრება ცარიელი ყუთები, რაც იკავებს დიდ მოცულობას, რაც კანონით აკრძალულია. ბაზრის მიმდებარე ტეროტორიაზე განლაგებულ კერძო სავაჭრო ობიექტების წინ არსებულ ტერიტორიებზე ყრია ნაგავი, ძველი უნივერმაღის გვერდითა ტერიტორიაზე დაყრილია დიდი რაოდენობით სამშენებლო ნაგავი, თხილის ნარჩენები, დანაგვიანებულია სპორტული მოედნის უკან მდებარე ყოფილი აუზები და ირგვლივ არსებული ტერიტორია. მძიმე მდგომარეობაა ძველ უფუნქციო შენობებში და მათ ეზოებში, ნაგვით და სარეველა ბალახებითაა დაფარული, ძველი სახანძროს, ძველი სამშობიაროს, ძველი ვეტსამსახურის და თითქმის ყველა უფუნქციოდ დატოვებული შენობები. მდინარე ორპირას მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული ობიექტები როგორიცაა ძველი სასტუმროს შენობა, ფოსტა და სხვა, თითქმის ყველას უკანა ტერიტორიაზე ყრია ნაგავი, აქვთ ნახმარი წყლები ჩაშვებული მდინარეში.

დასასუფთავებელია სანიაღვრე არხები ნაგვისა და მცენარეებისგან, რაც აფერხებს ატმოსფერული წყლების გატარებას არხებში.

9 აპრილის სკვერში გასაწმენდია სარეველა ბალახი, რაც ხელს უშლის ბავშვებისათვის დასვენებისა და გართობის პირობებს. სარეველებითაა სავსე გზების მიმდებარე ტერიტორიები.

დაბის ცენტრალურ ადგილებში არ არის აკრძალული პირუტყვის მოძრაობა, ცხენები, ძროხები, ღორები ძალიან ხშირად დადიან დაბის ცენტრში და მის მიმდებარე ქუჩებზე , მომრავლებულია მაწანწალა ძაღლები, რის შედეგადაც

ძალიან მომატებულია მომართვიანობა სამედიცინო დაწესებულებების ანტირაბიულ კაბინეტში.

ჩვენ ვიყავით ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე, დავათვალიერეთ იქ არსებული მდგომარეობა. ნაგავსაყრელი შემოღობილია, აქვს ჭიშკარი, რომელიც დაკეტილია და ადვილად არ არის მისაწვდომი პირუტყვისათვის ნაგავსაყრელზე შესვლა, მაგრამ ჩვენი მისვლის მომენტში ნაგავი მიწით არ იყო დაფარული, დგას ნაგვის გორები, მიზეზად ტექნიკის დაზიანება დასახელდა, რაც მათი თქმით მალე გამოსწორდება.

რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა და საგანგაშო ამის შესახებ უნდა იცოდეთ საკრებულოს წევრებმა და გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა არის ის, რომ მწყობრიდანაა გამოსული საკანალიზაციო სეპტიკის რეზერვუარი, რომელიც მდებარეობს ძველი სამშობიაროს უკან არსებულ ტერიტორიაზე, მდინარე სუფსის ნაპირას ახლოს, მიუვალია მასთან მისასვლელი გზა, დაყრილია დიდი რაოდენობით საგზაო ნარჩენები, მიუვალია ეკალ-ბარდით სავსე ბილიკი, შორიდანაც იგრძნობა აუტანელი სუნი, სიძველის გამო რამდენიმე ადგილასაა გახეთქილი სეპტიკი და იღვრება არსებული მასა, რომელიც პირდაპირ გაუწმენდავი სახით ჩაედინება მდინარეში, რაც სასწარფოდ მდგომარეობის გაოსწორებას მოითხოვს, იქვე ახლოს არის მოსახლეობაც, ადვილი წარმოსადგენია რა დღეშია იქ მაცხოვრებელი ადამიანები.

სასწრაფოდაა მისაღები ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლდ, რომ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა მიიღოს სუფთა, ჯანსაღი სახე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და სანიტარული წესრიგის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და დასუფთავების პროგრამა, რომლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმართველობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები აღნიშნული საკითხების მოგვარებაზე. თვითმართველობებს ასევე უფლება აქვს შექმნას სპეციალური ინსპექცია შესაბამისი სამსახურის ჩართულობით, რომელიც პერიოდულად შეამოწმებს სანიტარულ მდგომარეობას, უფლება ენიჭებათ გამოწერონ ჯარიმა ფიზიკურ დაიურიდიულ პირებზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146 -ე და 148 -ე მუხლის შესაბამისად. შესძლებელია დაწესდეს ცხელი ხაზი, სადაც მოსახლეობას ექნება საშუალება დარეკოს და მოგვაწოდოს ინფორმაცია შექმნილი სიტუაციის შესახებ.

მნიშვნელოვანია ცენტრალური წყალსადენის წყლის პერიოდული შემოწმება.

ჩვენს მიერ სექტემბრის მეორე ნახევარში და ოქტომბრის თვეში დაგეგმილი გვაქვს სილამაზის სალონების, საბავშვო ბაღების და საჯარო სკოლების შემოწმება, რომელიც მოიცავს სასმელ წყალს, წყალმომარაგების მდგომარეობას, სანიტარულ ჰიგიენურ მდგომარეობებს, სამედიცინო კაბინეტების მდგომარეობას, ნარჩენების მართვას.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი: ნ. ჯიბუტი